

10
F7
190



ისით განა, თვით ტანჯვანი
რამდენია სიამება,
როცა იგი ქვეყნისათვის
ბრძოლისაბან იბადება?

ზ.ზ.

ზ.ზ.



1907 წ. ეოკულკვირეული კარიკატურებიანი გაზეთი. № 1.

„ხუმარა“ ერთ რომელიმე პარტიის ორგანო არაა. ისაა კარ-ლია გაზეთი. აზრთა შეჯახება—ი, რაა
კეშმარიტების გამოკვესელი. დეე, დაეჯახონ სხვა და სხვა მიმართულებების შეხედულებანი ერთმანერთს—ეს
საკიროა და კარგი. „მოყვარეს პირში უძრახე“ თუ ზნეობრივი სიბრძნეა, „მტერს რომ პირში უძრახო“ ეს
კიდე მეტი ხარისხის ზნეობრივი სიბრძნე იქნება.



დიდყურაანთ ყროყინას
ჩვენები ეჯავრება;
საიდანაც მოსულა,
იქით მიეჩქარება.

და ნიშადღუს ულესავს
გულ-მოსული მარშალი, +)
რომ აქ აღარსა დარჩეს
იმ ვირის გზა და კვალი.

კინტო კი გაოცებით
შესტკერია ამ ამბავს
და ხმა მალლა იძიხის:
„ამოუსვით, ჩაუშავს!“

Handwritten notes and signatures in the bottom right corner.

„Се левъ, а не собака“.

„ოდეს ლომს სძინავს,
კატაც კი ღრინავს.“
(სიბრძნე და—კანისა.)

I

ამ ჟამად სთვლემდა „ლომი“
ძლიერი.

„ოდეს ლომს სძინავს, კატაც კი
ღრინავს.“

მხეცი ჰგონია მას თავი თვისი.
შარშან ამ დროსაც არჩევნებისთვის
ემზადებოდა ჩვენი თფილისი.
ამხედრდა თითქმის ყველა პარტია,
სულყველა კლილობს: გავიდეს ლე-
ლო,

თავისი კაცი წარგზავნოს დუმად,
ბრძოლა მოიგოს აქ სასახელო.

წაიკაპიწეს ხულიგანებმა,
მთავარი შტაბის ქონდათ. ნუგეში.
არვინ უშლიდა „აგიტაციას“,
რევოლუციები ეწყობოთ უბეში.
„გალოს კავკასია“ გზას უნათებდა,
და „ლეტოპისი“ ღმერთს ავედრებდა.
უმოქმედობას ჩვენ ხულიგანებს,
ფეიცავ ვერაინ დაყვედრებდა.

ფედერალისტებს და რადიკალებს
შიშისა ზრახვამ განუფლო გულში!..
ფიქრობდენ: „ქვეყნათ მოვიჯაყებით,
აქ თუ დავმარცხდით, ჩვენსა მა-
მულში“.

ბოლოს არჩ. ეს შეეკრა ბლოკისა;
მონახეს კიდევ მესამე ტოლი
და ააშენეს ქვეყნის სამასხროთ
ბავშვისებური რაღაც ხოხოლი.

კადეტთა „რაზრიც“ საქმეს შე-
ულდა...

მათაც გამართეს „აგიტაცია“,
მაგრამ თფილისში ყველამ შეიტყო,
„კადეტი“ ესე თუ რა კაცია.

ავლაბრის ფერდზე წამოწოლილი
ტკბილათ სთვლემს მხოლოდ დაშ-
ნაკუტუნნი...

მას ელანდება თოფ-იარაღი
და ყნოსვას უტკობს წამლისა სუნი.
სულ ხუთი თვეა, რაც ამა „ლომმა“
ხართუხის ველი სისხლით შეღება
და ბორჯოლოდან „მოსეულ“ თათრებს
დონკობრტეგით გამოეგება.

დრო გამოშვებით გაახელს თვალებს,
ხედავს, ქალაქში არვისა სძინავს
და მედიდურათ ჩაიღუღუნებს:

„ოდეს ლომი სთვლემს, კატაც კი
ღრინავს“...

ესე არს „სიბრძნე“ დაშნაკუ-
ტუნის,
სიბრძნე დიადი, სიბრძნე მაღალი,
რადგანაც ესმის „ლომს“ ავლაბრისას



ს. შ.

თვისი უებრო ღონე და ძალი.
თავს არ იყადრებს ეს გულ-ზვიადი,
ასე უბრალოთ არ გაინძრევა
და თუ დასქევა ხმითა თვისითა,
მგონი მთაწმინდაც ჩამოინგრევა.

„სოციალიზმი“ ჯიბეში უძევს,
თუმცა თავს მისთვის არ შეიწუხებს
და პრაზაგანდის ნაცვლად აქა-იქ
ბომბას გაისერის, თოფს დააქუხებს.
დიდი ხანია, „ლომმა“ გადასქრა:
არჩევნებისთვის არ დასძრას ტოტი
და სათათბიროს გამოუცხადა

„ულრმესი ზიზი“ და „ბოიკოტი“.
გათავდა ბრძოლა მისის ათში
და დაგვიმწუხრდა ბევრი პარტია...
გამარჯვებული დარჩა თფილისში
მხოლოდ სოციალ-დემოკრატია.

ხულიგანების დაბნელდა მთვარე,
რა მოისმინეს ესე აშბავი
და ნახეს თვისი კანდიდატები
სულით ხორცამდე სულყველა შავი.

ბლოკსაც საჯაყი დაადგა საქმე...
საქვეყნოთ წახდა, შეურცხვა პირი
და ერთი სულის შებერვით გაქრა
ეს სანაქებო „სამთა კავშირი“.

კადეტებს მცირედ მოხედა ღმერთმა
და სოლოლაკი შეინარაზუნეს...
მაგრამ დანარჩენ ცხრა უზნიდანა
შერცხვენილები „გამოაქტუნეს“.

„ლომს“ ავლაბრისას დაშნაკუ-
ტიუნს
ლაღათ გაწოლილს კვლად ეძინა,
ბოლოს აღალო თვალთა ქუთუთო,
გადაიხედა და ჩაეცინა:

„რა ახტუნავებს ამ უბადრუკებს?!
ნუ თუ ეს ხალხი ვერკ ბეცია?
მაშ დანისომეთ ესე თქმულემა:
„ოდეს ლომს სძინავს, კატაც მხეცია.“

II

„შუა ძილში იყო ავლაბრის „ლომი““

ყველა პარტია კვლავ ახმაურდა.
„ლომს“ ისევ სძინავს, ანკი რა უნდა?!

შემოკრბა დუმა კადეტოვანი
და ჰანგით ტკბილით იწყო დაღაღ...
ნისიით ერთობ ბევრი ივაქრა,
მაგრამ ვერ ნახა შაური ნაღდი.
მოგებსენებათ, ჩვენსა მთავრობას
ხალხისთვის ფრიალ შესტვივა გული...
ენაზე აკრავს მუშა და გლეხი,
ყველგან ტანჯული და დანაგრული.
აშბობს: „მიწა და თავისუფლება“
სულ დამიღუპავს გლეხს და მუშასო,
ათასი წლობით შეკრულ სამეფოს
გამინადგურებს, დამიფუშავსო“.
არ გასქრა თხოვნამ კერპ მინისტ-
რებზე
და არა დასთმეს მათ ნათხოვარი,
ხოლო სანაცვლოდ სოფლათ, ქა-
ლაქათ

კვლავ ააყენეს სისხლისა ღვარი.

აქ კი გაცხარდენ დებუტატები,
მინისტრებს ჰკადრეს ავი ხსენება...
(და შერცხვენა რომ საწყენი არის,
სულყველა თქვენგანს მოგებსენება).
ბრძანება გასცა „ვარსკლავთ პა-
ლატამ“

და დაირაზმა საომრათ ჯარი;
რკინის რგალივით შეკქრა სასახლე,
გამოიხურა „ღუმისა“ კარი.

აღშფოთდა კვლად მთელი ქვეყანა
—გლეხი თუ მუშა, კაცი თუ ქალი
და აქა-იქა, სოფელ ძალაქათ
აჯანყებისა ამოსკდა ალი.

ეძინა მხოლოდ „ლომს“ თფილისისას,
სთვლემდა მარტოკა დაშნაკუკანი.
მას ასულდგმულებს თათრებთან ბრ-
ძოლა,
ეს არის მისი გულის საგანი.

III

აქ გაიღვიძა „ლომმა“ მამაცმა.

აქ გაიღვიძა „ლომმა“ ძლიერსა. მისვე ფაფარი ზან შეირყა. ხარფუხსა კული ვადაუქნია და შთაწმინდასა შექნა ღრეკა.

მეორე დუმის მოვიდა ჟამი და ახმაურდენ კვლავ პარტიები. „ლომიც“ ნაფარდობს და იღრინება ბურჟუათაგან ნაპატეები. დღისით არ ჩნდება ქალაქის ბურჯი, ღამით უზომო გააქვს ღრიალი... ვერვინ გაიგო რათ იმალება ან რით შეუდგა ეგე წრიალი?! ის ხომ „ლომი“ ძლიერა მოსილი, ბრძოლაში ასჯერ ნაგეშ, ნაწრთობი? მისთვის ქალაქის აწიოკება „პუსტიკია“ და გასართობი. მაშ რა შეემთხვა, რათ იმალება? რისთვის არ ჩნდება დღისა ნათელში, რისთვის უქირავს გაუციებლათ რევოლვერი თუ დამბაჩა ხელში? ჟამთა უადრეს ვერვინ მიხედების, საიდუმლოა ესე დიადი და ავლაბრისა „ლომის“ კატობას მხოლოდღა ფარავს დამის წყვილიადი.

გათენდა დილა კენჭაობისა. ცერებზე შედგა ქალაქი მთელი.. თოვლის სუღარამ გახვია არე, ქუჩას მოედო რაზმი „დამცველი“. კვლავ შეიტაკენ მეგრძოლთ რაზმები მაგრამ არსად სჩანს ზოგი მათგანი და მიცვალებულთ მაგიერობას ეწევა „ლომი“ დაშნაკაკანი. ხულიგანებიც მამაცათ სცემენ შავროვისაგან დაკურთხებულნი, მარტო კადეტებს და ჰანჩაკისტებს სისუსტისაგან წაუხდათ გული. თუ კი „საბუთი“ მიეცემოდა თავს არ ზოგადენდ ქუჩისა „მცველნი“; კარგათ იხმარეს თოვის კონდახი— არ დაუკლიათ არვისთვის ხელი. გულის ფანქალით ელოდა ყველა, ბრძოლისა ღმერთი ვის შესცინებდა. ტკბილი იმედი გამარჯვებისა, მგონი, კადეტსაც უხიციებდა.

VI

ფერი იცვალა თფილისის „ლომმა“

გამიწყრეს მადლი მარტივლისა; დამსჯელმა რაზმმა დამიწვას სახლი, თუ უწარწყროთ გაირჩეოდეს: ლომია ესე, კატა თუ ძალი?

გათავდა ბრძოლა შეუბოვარი... და გრგვინვის ნაცვლად მესმის წკმუტუნნი... ლომისა ქეჩხო შემოგლეჯილი

საწყლათ კანკალებს დაშნაკუტუნნი ვერ გასქრა მისმა კუკუ-მალიომ, ლომისა ტყავმა ვედარ დამალა, გამოჩნდა მისი ავლა-დიდება და გაიზომა იმისი ძალა. თურმე ეშმაკი ესე „პარტია“ თავისი რიხით სხვეს აშინებდა. და ცხვირთ წინაშე რომ არ აეკრათ, მგონია ახლაც დაიძინებდა. დღეს ალბათ ნაღვლობს გამოღვიძებას, რადგანაც „ლომის“ დაპკარგა ტყავი და საარჩევნო ასპარეზიდან კატა დაბრუნდა და ისიც შავი.



მეკოთნე, მომჩივა-რი და ღმერთი.

(ზღაპრისებური)

იყო ერთი ღვთისნიერი კაცი, რომელსაც ისე უყვარდა ღმერთი ხალხი, რომ მათი გულისთვის არაფერს არ ზოგავდა, და ქონება რომ არ აუვიდა, საწყლებისათვის ქოთნების კეთებასაც შეუდგა. ერთხელ მასთან მივიდა ვინმე საწყალი კაცი და თხოვა ქოთნის გაკეთება. ღვთისნიერი მეკოთნე შეპირდა, მარა დროზე ვერ მოუსწრო. მთხოვნელი რომ მივიდა, ქოთანს მოპირვა და ყურები აკლდა. საწყალ კაცს გული მოუვიდა და უკმებათ უთხრა:

—რაღა ჩემი ქოთანი ვერ მოასწარიო, წავალ და ღმერთთან გიჩივლებო.

—მიჩივლეო, მიუგო ღვთისნიერმა და თავის გულში თქვა—უმადური ყოფილხარ, მარა უმადურობის წამალიც მე ვიციო. ის საწყალიც წავიდა და ღმერთს შეჩივლა: ასე და ასე, საწყალი კაცი ღვთისნიერი კაცის ხელშიაც დაჩაგრულია, მკაცრი ბრძანება უბოძე, რომ კარგი ქოთანი და მალე გამიკეთოსო!

ღმერთმა შეიწყნარა მისი თხოვნა და მეკოთნეს ანგელოზის პირით უბრძანა: ამას და ამას მალე კარგი ქოთანი გაუკეთეო.

მეკოთნემ გააკეთა ქოთანი, მარა ძირი გაუხვრიტა და მისცა მომჩივარს.

—ეს რააა? დაეკითხა საწყალი მეკოთნეს.

—ქოთანი! გულგრილათ მიუგო მან.

—მერე ძირ გახვრიტლი?

—ღმერთმა ბრძანა, ქოთანი გაუკეთეო და ქოთანიც ეს არის. ძირ გაუხვრიტელი ქოთნის გაკეთება მას ჩემთვის არ უბრძანებია... საწყალმა მიუბრუნინა ღმერთს ქოთანი და მოახსენა:

—უფალო, დახედე, როგორ სამსხროთ ავცივლო მეკოთნემ შენც და მეც: ძირ გახვრიტელი ქოთანი გამიკეთა. მოილე მოწყალება და კიდევ უბრძანე, რომ მალე გამიკეთოს კარგი და ძირ გაუხვრიტელი ქოთანი.

ღმერთმა მეორეთაც შეუსრულა თხოვნა.

მეკოთნემ მალე გაუკეთა ქოთანი, რომელსაც ძირის მაგიერ ამ გზობისათ გვერდი გაუხვრიტა.

—ეს რაღაა? შეეკითხა საწყალი მეკოთნეს.

—ქოთანი! დინჯათ მიუგო მან.

—მერე გვერდ-გახვრიტლი?

—ღმერთმა ბრძანა ძირ გაუხვრიტელი ქოთანი გაუკეთეო და ძირ გაუხვრიტელის გაკეთება მას ჩემთვის არ უბრძანებია... მომჩივარმა კიდევ მიიბრინა ღმერთთან და შეევედრა:

აი შემოქმედო, როგორ დაგვიცინის შენც და მეც მეკოთნე! ქოთანს ეხლა ძირის მაგიერ გვერდი გაუხვრიტა! რას მარგია გვერდ გახვრიტელი ქოთანი? შემიწყალე, უბრძანე—მალე გამიკეთოს კარგი, ძირ და გვერდ გაუხვრიტელი ქოთანი.

ღმერთმა მესამეთაც შეუსრულა თხოვნა. მეკოთნემ გაუკეთა ქოთანი ძირ და გვერდ გაუხვრიტელი, მარა უპირო.

—ეს კიდევ რაა? შეუბღვირა საწყალმა მეკოთნეს.

—ქოთანი! დამშვიდებულათ უპასუხა მეკოთნემ.

—მერე და უპირო?

—ღმერთმა ბრძანა ძირ და გვერდ გაუხვრიტელი ქოთანი გაუკეთეო და ძირ და გვერდ გაუხვრიტელიც ეს არის. პირიანი ქოთნის გაკეთება მას ჩემთვის არ უბრძანებია.

სომხივარი ხელახლავ მიიქრა ღმერთთან და შეეხვეწა.

—აი, ყოვლად ძლიერო, შენი გაჩენილი მექოთნის სიკეთე! რათ მინდა უპირო ქოთანი, სიდან ჩაეხსება შიგ რამე, ან სიდან ჩაეაწყო. უბოძე მრისხანე ბრძანება, რომ გააკეთოს მალე ქოთანი ძირ და გვერდებ გაუხვრეტელი და პირიანი.

ღმერთმა მეოთხეთაღ შეუსრულა თხოვნა.

მექოთნემ თვალის დახამხამებაში გაუკეთა ძირ და გვერდებ მთელი და პირიანი ქოთანი, მარა ყური ფსკერზე გამოაბა.

—ეს მაინც რაღაა? შეჰსძახა საწყალმა მექოთნეს.

—ქოთანი! შენარათ მიუგო მექოთნემ.

—სადა აქვს მერე ყურები, აა?!

ღმერთმა ბრძანა, ძირ და გვერდებ გაუხვრეტელი და პირიანი ქოთანი გაუკეთეო და ძირ და გვერდებ გაუხვრეტელი ქოთანი და პირიანი ქოთანიც ეს არის. ყურს ქოთანს ფსკერზე ნუ გამოაბამო, მას ჩემთვის არ უბრძანებია. ღმერთმა შენზე უკეთ იცის, რომ მექოთნეს, საითაც უნდა, ყურს იქით გამოაბამს ქოთანს. აბა, როგორ გეგონა შენ, გულ-უბრყვილო ადამიანო?!

გაბრაზებული მოშივარი გაიქცა ღმერთთან და ატირებულმა მოახსენა:

—მაშო სახიერო, გადაეყვი ამ ერთი ქოთნის გაკეთებას. როგორ ვთქვა შე, ცოდვილმა სულმა, თვარა ვერც შენი ღმერთობის გამოგია რამე და ვერც მისი ღვთისნიერობის. აი, დახედე, სად გამოაბა ყური!

ღმერთს გაეცინა და მოშივარს უთხრა:

—იცი რას გეტყვი, შეილო? შენ ხომ ქოთანი გინდა, კაობით კი, ოჯახში გამოსაყენებელი?

—რაღა თქმა უნდა, ყოვლად ძლიერო!

—მაშ ჩემი რჩევა ეს არის: მიდი ისევ მექოთნესთან, ძალიან შეეხვეწე და შეაბრალებ თავი. ასე უფრო მალე და შენდა გუნებირათ გაკეთდება საქმე, იმიტომ რომ ქოთანს მექოთნე აკეთებს და არა ღმერთი.

მოშივარმა დაუჯერა ღმერთს, მივიდა მექოთნესთან და მუხლ-მოდრეკით თხოვა შენდობა, შეაწყალა თავი და დაემუდარა, ერთი კარგათ

გამომწვარი ქოთანი ებოძებია მისთვის.

მექოთნემ შეიწყნარა წინანდელ მოშივრის ვედრება და, რაკი დროც ნებას აძლევდა, ერთი საუკეთესო ქოთანი ხელათ გაუკეთა, მიცა და თანაც ასე დაარია:

—უწყოდე ცოდვილ მიწის შვილო, რომ, როცა ქოთანი გქირია, მექოთნეს იქით საშველს ნუ ეძებ, თვარა ყოველთვის გაწვალებული იქნები...

ი. მაგმაძე.



ბენია და ბეშტია.

ძველად, როცა თეატრები, კონცერტები, მასკარადები, ბალები და სხვა გასართობები არ ყოფილან, სასახლეებში ხუმარაები ჰყავდათ ხოლმე. იმათ ისეთი უფლება ჰქონდათ მინიჭებული ლაპარაკში, რომ მეფეებთან იმას ჰბედავდნენ, რასაც სხვა ვერ გაბედავდა და ბევრჯერ კეთილადაც მოუხმარიათ თვისი ძალი. საქართველოს, როგორც ერთ ძველ საჰეფოთაგანს, ეს ჩვეულება მიღებული ჰქონდა და საქართველოს მეფეებსაც ჰყოლიათ ხუმარები; მხოლოდ იმ განსხვავებით: თუ მოსწრებული და მქვერ-მეტყველი ვეარის-შვილი იყო, იმას ხუმარას ეძახოდნენ და თუ უბრალო ჩამოვარდობის მასხარას. უკანასკნელ დროს სახელი გაუთქვამს ქართლში ბენია-კუზინს და იმერეთში ბეშტია-კოკოს. იმათი ნამოქმედარი ბევრი რამ დარჩენილა ხალხში.

დღეს „ბენია-ბეშტიაობის“ დრო აღარ არის, მაგრამ საქმე კი ბევრია ხოლმე საიმათო და ჩვენც ხან და ხან, დროს შესაფერად, ამ „ბენია-ბეშტის“ გამოვიყვანთ ხოლმე სცე-

ნაზე სალაპარაკოდ. მაგრამ ეს მომავლისთვის იყოს და ახლა კი გავაგრძობთ ისევ ზემო თქმულს: მეფეების მიბაძვით დიდი ოჯახებიც სცდილობდნენ, რომ ხუმარა შეეძინათ ხოლმე, მაგრამ სად იქნებოდა იმდენი ხუმარა და იმათ ნაცვლად გლახებს სჯერდებოდნენ: სალოსი-გლახა ღვთის მონაა, —მადლი თან დასდევსთ და ოჯახში შეიტანებნო. ძვირად მოიპოვებოდა მისთანა დიდ კაცის სასახლე, რომ იქ გლახასაც არ ჰქონებოდეს თავ-შესაფარი. ნიკო დანიანსაც, შეხეფოს, ჰყოლია ერთი სეიმონა გლახა.

ამ გლახის ერთი ნათქვამი ანდაზად არის ჩვენში გადაქცეული და ჩვენც მკითხველს გაუზიარებთ: ღამის თევას ჩვენში ძველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; დაწვევდნენ მელოგინეს ცალკე ოთახში და გადაათარებდნენ ძველ ბაღეს, როგორც ნაკურთხს, რომ მვენეს ველარ მიეზენდა და თვითონ კი, როგორც ქირის უფლები, ისე სტუმრებიც, ღამეს უთევდნენ... ფხიზლობდნენ, რომ მტერი მოეგვრებიათ. გათენებამდი დაძინების უფლება არავის ჰქონდა, მერე კი, რომ ინათლებდა, „სირის-



კულდა“ სკამდენ და დაიშლებოდენ. იყო მთელი ღამე ერთი ხრილი, მხიარულება და კისრის ტეხა! რომ ძილი არავის მოსვლოდა, იგონებდნენ სხვა და სხვა სათამაშოებს, შაირებს და სხვანი და სხვანი. ეს ასეთი ყოფა, ესე იგი ღამის თვეა იმდენ ხანს ვასტანდა დიდ ოჯახებში მაინც, სანამ მგლოვანე ფეხზე არ წამოდგებოდა. ერთხელ ზემოხსენებულ ნიკო დადიანსაც ჰქონდა ღამის თვეა, რომელიც ისე გათავდა, რომ ერთი მისი გლესთავანი არ მიკარებია. ბატონი გაწყრა და დაიბარა გლეხი.

— ბიჭო—უთხრა ბრახ მორეულმა—ჩემი ყმა ხარ, იმოდენა ადგილ-მაძული გიქირავს ხელში, მაგრამ სულ შენია, ვერაინ რამეს შეგეცება, რადგანაც გადასახადი ამოკვეთილი გაქვს, ჩემი შიშით ბუზს ვერაინ აგიფრენს. ასე ნებივრადა მყავხარ. გმართებს მხოლოდ შინა-ყმობა. ჩემთან უნდა იყო ხოლმე სასახლეში; რომ ჩემი ქირი და ღებნი გაიზიარო და შენ კი ღამის თვეაში მოსვლასაც მაშადლიო? აკერევირა პალური და გააგლო სასახლიდან: „თვლით აღარ დამენახო!“

მაშინ ბატონის რისხვა ხუმრობა არ იყო და ერთხელ, მოურავი რომ შეიგულა მარტოდ-მარტო საფარე-შოში, მივიდა გლეხი და მოეხვა მუხლზე: „შემარიგე როგორმე ბატონს!“ მოურავად ანტონ ჩიქოვანი იყო. მოუსმინა გლეხს და უთხრა: კარგი შეილო, შეგარიგებ, თუ ბატონთან ბოდიშს მოიხდი და ძღვნად კარგ ცხვარსაც მოართმევ; შე კე გასამრიგლოდ ერთი კარგი ძროხა უნდა მომგვიარო! ასე, შეილო, არ დაგავიწყდეს! ცხვარი ბატონს და ძროხა ანტონს!.. ცხვარი ბატონს და ძროხა ანტონსო! ეს სიტყვა რამდენჯერმე გაუმგორა ზედიზედ. იმ დროს მათ მეტი არავინ ყოფილა საფარე-შოში, გარდა სვიმონა გლახისა. ის კი ვგლო თავისთვის კუთხეში, მაგრამ იმას, როგორც გლახას, ვინ მიაქცედა ყურადღებას.

მეორე დღეს მოურავმა დრო შეურჩია ბატონს და შეავედრა გლეხი. იმ დროს სვიმონა გლახაც სასახლეში იყო. მოურავმა რომ ახსენა, ცხვარს მოგართმევსო, იმ გლახას მოაგონდა გუშინდელი ნათქვამი და წამოიძახა: ცხვარი ბატონსო, ძროხა ანტონსო?

ცხვარი ბატონსო, ძროხა ანტონსო!.. დადიანმა იქვი აილო, დაიბარა გლეხი, გამოჰკითხა და შეიტყო, რომ ბატონს ცხვარი რგებია და მოურავს კი ძროხა. დაუძახა შინა ყმებს. ანტონს ცალი უღვაში აუწინეს, გადააყენეს მოურავობიდან და გაისტუმრეს სახლისკენ. იმ დროში უღვაშის აწვევა უფრო ზნეობითი დასჯა იყო, ვიდრე ფიზიკური... წვერ-უღვაშის შერცხვენა ვაშკაცისათვის დიდი უბედურება იყო და ხალხში თავის გამოყოფა გაუქრდებოდა.

მაღლობა ღმერთს, რომ დღეს ეს ჩვეულება გადავარდნილია, თვარამ, თქვენი მტერია, რომ დღეს საზოგადოდ მოურავებს წვერ-უღვაში აღარ შერჩებოდათ!

ბენია და ბეშტია, როგორც ძველი დროის კაცები, არ იშლიან ჩვეულებას და ხან და ხან კიდევ აპირობენ, რომ, ვინც ღირსია, უღვაშები აუწიონ ხოლმე. ჩვენც ჩვენის მხრით ვაფრთხილებთ ყველას და უფრო კი ხელმწიფის მოურავებს!

ბენიასა და ბეშტიას შეუკრავთ თურმე პირობა, რომ ხალხში გამოამქლავონ ავიც და კარგიც... გმირობა!

ზოგს აუზიონ უღვაში, ზოგს დაუზიონ წვერები; ზოგს შეკამონ უცუნი და ზოგსაც ტაბლა-კვერები.

ბეშტია იმერელია, კარგადაც იცნობს მხარესა! ვინც ტკბილის ღირსი იქნება, როდი შეასმევს მწარესა.

ბენია რჯულით სომეხი და გვარ-ტომობით ქართველი, ქართლ-კახეთშია გაზრდილი და ბევრი რამეს მწახველი.

ბენია ეტყვის ბეშტიას: ყოველთვის თუ ვერ მნახო, კორტოხზე უნდა შემოდგე, იქიდან გადმომძახო.

და მეც აქიდან მოგაწვდენ, რასაც კი გავიგონებო! ბევრს ფარისეველ მელა-კაცს შევარცხვენ... დავაღონებო!

—ბეჩაე, ბენია!.. ბენია! რას ამბობ? არა გრცხვენია? მაგ გვარი გამოამქლავნება ზოგისთვის ცული ძღვენია!

—ბეჩაე, ბეშტია!.. ბეშტია! რაღა რუსული „ჩესტია“, თუ მანგრე დაუფარავად გინდა, მოაბა „ჩესტია“?

არ იშლით? თქვენი ნებაა; მაგრამ ბეშტია!.. ბენია!.. მზათ უნდა გყავდეს ორივეს, თქვენ, შეკაზმული ცხენია!

გამოცანები.

(საბჭოს დეპუტატებზე).

გამოცანას მოგახსენებთ. გამოცნობა თქვენია; თუ რომ ყველას გამოიცნობთ, ერთი რამე თქვენ ია.

1.

ბევრი რამ მქონდა სათქმელი, არ მათქმევინეს, არაო!.. შემომბლაოდენ როგორც მგელს შემინებული ფარაო.

2.

აქ რომ ვიყავ, გავიკრიქე; იქ რომ ჩაველ, დავიღრიქე; ხან მარცხისკენ, ხან მარჯვისკენ წარა-მარა გავაბიჯე.

3.

„როგორც მოსულხარ, სენაო, ისევე წახვალ შინაო!“ ენა ბრგვილობამ მიშველა, რომ არსა მათქმევინაო.

4.

ენა-მჭვერობის საელი აქ შე თუმცა დამივარდა, მაგრამ იქ რომ ჩამიყვანეს, ენა სრულად ჩამივარდა.

5.

თარს რომ სიმები ავუბი, ჩამოვკარ, ჩავწკრილილე; ადვოკატურად... კატურად შე ენა დავატრიილე.

ზოგი ისა ვსთქვი, ზოგი ეს, თვალები დავაბრიილე, მაგრამ „პაშოლო“ რომ მითხრეს, შინისკენ წავეყიილე.



შ. ხაზიაძე

გიორგი ზდანოვიჩი
კადეტების გმირია;
ბლოკსაც გამოჰყავს გმირად,
როცა გასაქირია.

სოციალისტიც გახლავს,
ლიბერალიც... ცხადია...
სახელმწიფო „ღუმაში“
წაბრძანება წადია!

მაგრამ წინ ეღობება
სოციალ-დემოკრატი...
ალარ გაუდის მასთან
ქამანდები და კვანტრ...
ორიგ მოპირდაპირე
მომხრე ზდანოვიჩისა
დაცემულს დაზღუქუნობს
თმა-გაწეწით.

კრიჭისა.

(ს. ხ. ხაზიაძე)

ლ ე მ ც ი ა.

(სცენა მშრომელი ხალხისთვის თავდადებულის ცხოვრებიდან).

(სცენა წარმოადგენს ვეებერთელა „ბალ-განს“, რომელიც ხალხით მთლათ გაქვლილია. ერთ კუთხეში ღმას დიდ ბოქკა. საშინელი ხმაურობაა. ცოცა ხნის შემდეგ ბოქკაზე აღის კაცი იგი ვინმე „ცნობილი“ აკობია, გულ-ამოსკენით ქვითინს მოყვება და გულში ცემით გალობის ხმით იწყებს).

აკობია — ძმანო მშრომომელონოოო!

ბრბო — (ერთხმით შეზღაულებს) ყურს გიგდებთ, ჩვენო მხსნეელოოო!

აკობია — ძმებო! ძმებო! ჩემო მშრომელო ძმებო! (ქვითინებს) გული მიწუხს, გონება მეზნევა, თავი მიხურს, როდესაც ვხედავ თქვენ ტანჯვა-წვალებას. ნუ თუ ერთხელ მაინც ბოლო არ უნდა მოეღოს თქვენ ტანჯვას? ნუ თუ მუდამ სხვის აპე-

კუნობის ქვეშ უნდა იყოთ? ჩემო დაბრმავებულო ძმებო! ნუ თუ იმიტომ ცვრით სისხლს, იმიტომ იბრძვით, რომ ერთი ბატონი მოიშორათ და მეორეს ჩაუვარდეთ ხელში? მეორე უფრო ბასრ-კბილება და ახალ მოდის „კულიან“ ბატონებს? ვაი, ჩემს მოსწრებას! ვაი ამ დღის მომსწრეს! (გულში მუშტებს იცემს და ხმა მაღლა ღრიალებს) ძმებო! ჩემო უქკუო ძმებო! ვაახილეთ თვალები, მოიკრიფეთ გონება. დაუკვირდით საქმეს, მოდით გონს! გაიგეთ რას ჩაღიხართ; როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ დროს? აი როგორ: ვკითხვით თავის თავს, რა გეტკივა, სად გრტკივა, რა არის ჩვენი გაქირვების მიზეზი! რა წამალი უშველის ჩვენ ტკივილებს? მაგალითად მე მკითხვით, რა გტკივა-თქო? მე გიპასუხებ, თავი მტკივა.

როგორ მტკივა? საშინლათ მტკივა, ძმანო მშრომელო! საშინლათ. არ შემძლია აგიწეროთ, რა საშინელ ტკივილს ვგრძნობ. მაგრამ რადგან მე დაკვირვებული კაცი ვარ, ყველაფერს კრიტიკული თვალით უყურებ და თქვენსავით ბრძოთ არ ვემორჩილები. შემძლია აგიწეროთ ჩემი თავის ტკივილი. მე თავი მაბია კისერზე. როგორც ხედავთ, კაი მოზრდილი თავი მაქ; როგორც გამოჩენილი პუბლიცისტი უმეტეს დროს ვწერ. ავდგები დილით, მიუჯდები მაგიდას და ავიღებ ხელში კალამს თუ არა, რაღაც აქედან (კეფაზე დაიდებს ხელს) უცბათ შეიფრთხილებს და შუალისკენ გადმოფრინდება. შემდეგ ისევ უკან გადაფრინდება. ხახ გვერდზე, ხან აღმა და ხან დაღმა. ამ დროს საშინელ ტკივილს ვგრძნობ.

მაგრამ სამაგიეროთ თითო გადაფრენაზე ისეთი გენიოსური აზრი მებაღება, რომ ყველაფერ ტკივილს ვაუძღვებს კაცი. პირველათ, ძმანო მშრომელნო! ძალიან გამაგიერვა ამ ამბავმა და დაფიქრდი. ბევრი ვიფიქრე და ბოლოს ამ აზრს დავადექი. ალბათ საიდგანლაც მწყერი შემპარევა თავში და რადგან ცარიელი ალაგი ბევრი აქვს, დაფრინავს თავისუფლათ მეთქი. ხელათ წავედი დალაქთან, მოვაპარსენე თავი, გაეშინჯინე ყოველი კუთხე, მაგრამ ვერსად ვერ იპოვნა, საიდან შემძერალიყო მწყერი. ბოლოს მითხრა: მოდი ჩაქუჩს დაეურახუნებ და თუ მართლა მწყერია, შეიფრთხილებს და გვეიგებთო. კარგი მეთქი. მოიტანა ჩაქუჩი ჩამარტყა მაგრათ თავში. თავმა ისეთი ხმა გამოიღო როგორც ღრმოც კოკიანმა ცარიელმა ძველმა ქვევრმა. ჩამარტყა მეორე, მაგრამ თავმა ისევ ისეთივე ხმა გამოიღო. აქ, ჩემო ძმანო, არც მწყერია და არაფერი, თავი სულ ცარიელიაო, მითხრა 'დალაქმა და ყოველ შემთხვევაში მიჩნია ყინულები ვიღო ზედ. თუ მწყერი ან სხვა რამე ცხოველია შიგ, გაიყინებაო. ვიდე ყინულები, მარა მანაც არ მიშველა. შევეუდექი ისევ ფიქრს, რომ გამომეკვლია, რაფრინველია ჩემ თავში. ფიქრმა ტყუილათ არ ჩამიარა და დავრწმუნდი, რომ მწყერი კი არა, გენიოსური აზრი იყო, ფიცხი, გიჟი აზრი და გარეთ გამოხეთქას ლომობდა. საქირო იყო ამ გიჟი აზრის დაშოშმინება და მიემართე ექიმს. მიჩნის კოჯრის გზაზე „გენიოსთა თავშესაფარში“ შესვლა. ამ დღეებში ვაპირებთ კიდევ... (ისევ ქეთინს და გულში ცემას მოყვება) ძმანო მშრომელნო! თქვენც ასე უნდა მოიქცეთ, თქვენც უნდა გამოუნახოთ საშვალეობა თქვენ ტკივილებს. რა გვინდა ჩვენ? თავისუფლება, ბედნიერება! ეის შეუძლია მოგვიპოვოს ეს? ს.-ფედერალისტთა პარტიას!

ბრბო. — (შეღაფლებს) მართალია! მართალი!

აკობია — (განაჯრძობს) რომელი პარტიაა ხალხის მტერი და თავისუფლების წინააღმდეგი? ს.-დემოკრატიული პარტია!

ბრბო — (ერთხმად) მართალია! მართალი!

აკობია — რა უნდა ს.-დემოკრა-

ტიას? თქვენი ტყავის გაძრობა, თქვენი მოტყუება, ერთი ბატონის გადაგდება და თავის თავის გაბატონება!

ბრბო — მართალია! მართალი!

აკობია — ს.-დემოკრატიას უნდა თქვენ გაღარბდეთ, სული ამოგძვრეთ. ის, როგორც მღვდელი, გეუბნებათ, მოითბინეო და სამაგიეროთ გპირდებათ ხუთასი წლის შემდეგ სოციალიზმს!

ბრბო — მართალია! მართალი!

აკობია — (ხტის ბოჭკაზე და საშინლათ ღრიალებს) ს.-დემოკრატია მდიდრების პარტიაა!

ბრბო — მართალია! მართალი!

აკობია — ის მდიდრებს ეხმარება და თქვენი მოსისხლე მტერია.

ბრბო — მართალია! მართალი! ძირს ს.-დემოკრატია!

აკობია — ძმანო მშრომელნო! თქვენი ერთგული, თქვენი ქომაგი თქვენთვის თავდადებული ს.-ფედერალისტებია. მათ უნდათ თქვენთვის ყოველივე ბედნიერება. ს.-ფედერალისტების სოციალიზმი სულ ადრე იქნება, — ხვალ თუ ზეგ.

ბრბო — მართალია! მართალი! გაუმარჯოს ს.-ფედერალისტებს და მათ ლიდერ აკობიას.

აკობია — (გახარებული ყლორტინს მოყვება) ს.-დემოკრატია ტყავს აძრობს მეუშებს და ამ ტყავებიდან იკერავს თავის ქურქებს.

ბრბო — (განრისხებული მეუტებს მოიღვრებენ) მართალია! მართალი! ძირს ს.-დემოკრატია?

აკობია — ს.-დემოკრატია სტყუის!

ბრბო — მართალია მართალი!

აკობია — ს.-დემოკრატია უსირცხვილო, ყოველ-გვარ ზნეობრივ კანონების უარყოფელი, ხალხის მატყუარა პარტიაა!

ბრბო — მართალია! მართალი!

აკობია — ს.-დემოკრატიის პროგრამაში სხვა სწერია და ისინი ხალხს სულ სხვას ეუბნებიან.

ბრბო — მართალია! მართალი!

აკობია — პროლეტარიატის და გლეხობის ინტერესების ნამდვილი დამცველი ს.-ფედერალისტების პარტიაა!

ბრბო — მართალია! მართალი!

აკობია — ს.-ფედერალისტებს უნდათ ეხლავე განახორციელონ ქართული „სოციალიზმი“, ს.-დემოკრატებს კი ხალხის ტყავის გაძრობა.

ბრბო — მართალია! მართალი!

აკობია — ძმანო მშრომელნო! ეხლა ხომ გაიგეთ, რა გტკივათ!

ბრბო — გავიგეთ! გავიგეთ!

აკობია — ეხლა წამალი გამოგნახოთ. წამალი ის არის, რომ ერთდღეს ს.-დემოკრატიას. ის სიცრუის პარტიაა, ის მდიდრების პარტიაა.

ბრბო — მართალია! მართალი! ძირს ს.-დემოკრატია!

აკობია — მოდი! მოდი! ძმანო მშრომელნო, შემოკრბით ს.-ფედერალისტთა დროშის ქვეშ! იქ არის თქვენი ხსენა, ის არის ხალხის ინტერესების ნამდვილი დამცველი პარტია.

ბრბო — მართალია! მართალი! მოვდივართ, ჩვენო მხსენლო! გაუმარჯოს ს.-ფედერალისტთა პარტიას! ძირს ს.-დემოკრატია!

აკობია — ძმანო მშრომელნო! მე ვარ აკობია, ს.-ფედერალისტთა ლიდერი.

ბრბო — მართალია! მართალი! გაუმარჯოს აკობიას!

აკობია — მე ვარ გენიოსი.

ბრბო — მართალია! მართალი!

აკობია — ჩემ ცარიელ თავში გენიოსური აზრები დაფრთხილობენ!

ბრბო — მართალია! მართალი!

აკობია — ამ მფრინავ აზრების წყალობით მე ქუჩური სიტყვებით გავლანძღე ს.-დემოკრატია...

ბრბო — მართალია! მართალი!

აკობია — და მით დაგარწმუნე თქვენ, რომ ის ხალხის მტერია.

ბრბო — მართალი! მართალი!

აკობია — მაშ, ძმანო მშრომელნო! რაკი ჩემი მოვალეობა შევისრულე, ეხლა შემიძლია კოჯრის გზას შევეყვ, რომ „გენიოსთა თავშესაფარში“ ცოტათი დავასვენო ჩემი მოგიყიანებული აზრები და შემდეგ უფრო ძლიერათ გავილაშქრო ჩვენ მტრებზე.

ბრბო — მართალია! მართალი! წადი გენაცვა, ცოტა ხანს დაისვენე, თან ყინულიც იდე თავზე. მიიდე ყოველივე ზომები, რომ, თუ მწყერია, ადრე გამოფრინდეს და, თუ აზრები, დალაგდეს, ჩადგეს ერთ კალაპოტში.

აკობია — (შეხტება და დაიბლაღლებს) მაშ გაუმარჯოს ს.-ფედერალისტებს! ძირს ს.-დემოკრატია!

ბრბო — მართალია! მართალი! გაუმარჯოს ს.-ფედერალისტებს! გაუმარჯოს მის ლიდერს „მფრინავ აზროვან“ აკობიას! ძირს ს.-დემოკრატია — (ღექვა თავდება. ბრბო იშლებს).



რედაქტორ-გამომცემელი
აკაკი წერეთელი.

განცხადებანი.

კარიკატურებიანი გაზეთი „ხუმარა“ გამოვა კვირეშიდ ერჯელს, ცალკე ნომერი ელირება ყველგან 10 კაპ.

წლის ბოლომდის (11 თვე) ხელის მომწერთათვის ელირება 4 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—2 მან. 50 კაპ.

რედაქციის დროებითი ადრესი:
Тифлисъ, Типографія т-ва „Сорананъ“
для газеты „ХУМАРА.“

„ხუმარას“ რედაქცია თხოვს თანამშრომლებს, მასალასთან ერთად გამოგზავნონ სურათებიც, რომ ამით შეძლება მოგვეცნ კარიკატურული სურათების დახატვის. თანამშრომლებს გონივარი მიეცემათ.

ახალი ელექტრომბეჭდავი სტამბა აშხ. „სორაპანი“

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს დაკლებულ ფასებში.

სტამბა მოთავსებულია მდათოვის კუნძულზე კნ. მუხრანსკის სახლში № 1.

იყიდება

ვერაზე (თბილისში) სამოსალოები ბ. ბ. მაკარავების ადგილში. შეიძლება შეძენა 200 საჟ. ეზოსი (ქუჩებიანა და ეზოიანა სულ თითოზე 270 ოთხ. საჟ.) ოთხ კუთხედ საყენზე ფაიი მოჯის თითქმის 27 კაპეიკი. ვისაც ხელი აქვს მოწერილი, ეთხოვთ დღის რიცხვიდან ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ ბედ პირველი თვის გადასახადის შესატანად 6 მან., საქმის საწარმოებლად კი 1 მანეთი. ვისაც გარემოება ხელს უწყობს, მეტი უნდა წარმოადგინოს—70 მანეთამდე. (სიყალბე ამ შემთხვევაში არ შეიძლება). ფული უნდა წარმოადგინდეს თბილისის სამეურნეო ბანკში შემდეგი პირობის სახელზე: მიხეილ ზიორგისძე გოგლიძე, ივანე სვიმონისძე შუბაშვილი, ბაგრატ არტემისძე თორაოვი, ისაკ ოქროპირისძე ბახტაძე და სევასტი მიქელასძე გახეილაძე. ვისაც დაწერილებითი ცნობების მიწოდება ენებება, წარმოადგინოს მარკები. უფრო უბინაო, მუშა ზაღს დაურიგდება სამოსალოები: 400 სამოსალოა ჯერ მისაღები. ხელ-მოკლე შეიძველს ერთი წლის ვადა ეძლევა თვე-თვეობით ფულის ნაწილ-ნაწილად შემოსატანად. ადგილები დაიტვირთება, დანაწილდება, ხოლო შიდ შესვლა მაშინ შეიძლება, როცა დღეს საეხებით გაისტუმრებენ—ერთ წელიწადში. თუ სადმე სამოსალოების შექმნის მსურველი ბლომად იქნებიან, შეუძლიათ არჩეული კაცი გამოგვიგზავნონ პირადად მოსალაპარაკებლად პირობების გასაცნობად, რომლის დაახლოებით გაცნობა აუცილებელია. ადგილის მდებარეობა საუკეთესოა და მომავალიც დიდი აქვს. ძმანი მაკარავები დიდს ხარჯს აქვანობით ეგებებიან ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას მათა სასიქადეოდ და სხვა მახლობელ მემამულეთა სამაგალითოდ. ძმ. მაკარავებზე შემდეგ გვეუბნებიან ვაჭეთის საშუალებით ლაპარაკი...

ვისაც ჯერ არ მოუწერია ხელი, შეუძლია იქნა მანეთი ბედ წარმოადგინოს და ერთი მანეთი საქმის საწარმოებლად მიყოლებული ადგილების შესატანად, როცა პატრონი განაცხადებს სურვილს.

ერთი მანეთი საქმის საწარმოებელი, რომელიც იყო ზემოთ მოხსენებული წარმოადგინდება იმავე ბანკში მარტო მიხაილ გიორგისძე გოგლიძის სახელზე, სხვა კი ხუთივე ზემოდ ხსენებულ პირების სახელზე.

დროებითი ადრესი: Тифлисъ, Типографія „Сорананъ“ Севастію М. Гачечиладзе.